



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

№ 14

ქ. ბათუმი

2018 წლის 31 ოქტომბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ჟ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ლაშა სირაზიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი თოფურაძე	საკრებულოს წევრი;

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთ-

ბის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულა საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

## დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ომარ მახარაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ომარ მახარაძე)

3. „ქალაქ ბათუმში, დ.თავდადებულის ქ.№7/რუსთაველის ქ.№17-ში მდებარე სახლზე ღვაწლმოსილი არქიტექტორის, ბოგდან კირაკოსიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნების თაობაზე, რომ გაერთიანების დროა. მაღლობა ბათუმს... მისთვის პატივია მათ სამსახურში ყოფნა... ამ ქვეყანაში მნიშვნელოვანი დრო დგება, როდესაც ყველამ ერთად, მიუხე-

დავად პოლიტიკური შეხედულებებისა, ერთად უნდა კეთდებოდეს ქვეყნის საქმე. დროა, ძალიან დიდი გაერთიანებისა და ეროვნული შერიგებისა, როგორც ამერიკის პრეზიდენტი როლანდ რეიგანი ამბობდა, ვერასდროს გაიმარჯვებს ბოროტება, როდესაც სიკეთე ძლიერია. ქვეყანაში სიკეთე ძლიერია და თუ ყველა ერთად დგომას შეძლებს ხელიხელჩაკიდებული, ამ ქვეყნისთვის დიდ საქმეს გააკეთებენ. პარტიები სხვადასხვაა, მაგრამ სამშობლო ყველასთვის ერთადერთია.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე მ. ქამადაძეს გამოეხმაურა: ვერ გაარკვია ბოროტება და სიკეთე რა შუაში იყო, თუ გაითვალისწინებთ მეთოდებს, რომლითაც „ქართული ოცნება“ ხელმძღვანელობს და მეთოდებს, რომლითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელმძღვანელობდა, კარგად ჩანს, სადაა ბოროტება და სადაა სიკეთე. მან მადლობა გადაუხადა მოსახლეობას ვინც მივიდა არჩევნებზე და შეასრულა სამოქალაქო ვალდებულება. საქართველო დემოკრატიულ პროცესებშია ჩართული და ახალ ეტაპზე ქვეყანა გადავიდა 2012 წელს, როდესაც არჩევნებით, დემოკრატიული გზით მოვიდა პარტია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ პარტია „ევროპული საქართველოს“ სახელით მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ სრულიად საქართველოს მოსახლეობას მადლობა გადაუხადა ვინც საკუთარი თავის და საქართველოს წინაშე მოიხადა მოქალაქეობრივი ვალდებულება, 27 500 ამომრჩეველს, ვინც „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ დაუჭირა მხარი, ვინც საარჩევნო ყუთთან დააფიქსირა არჩევანი.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ გააკეთა განცხადება, რომ ერთი წელი გავიდა თვითმმართველობის არჩევნებიდან და ერთი წლის განმავლობაში აწუხებს მისი ამომრჩეველი. საჭირობოროტო საკითხებს, რომელიც მოსახლეობასთანაა დაკავშირებული, საყოფაცხოვრებო პირობები უარესდება უფრო და უფრო. მან დასვა შეკითხვა ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით შეიცვლება თუ არა მათი მდგომარეობა. ერთი წლის განმავლობაში მის მიერ დასმული საკითხების მხოლოდ 5% არის შესრულებული.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დააზუსტა, რომ მ. ქამადაძემ ბოროტებაში რუსეთი იგულისხმა და არა „ქართული ოცნება“. მან მადლობა გადაუხადა მერიის და საკრებულოს თანამშრომლებს, ზეწოლის მიუხედავად, სწორი არჩევანი გააკეთეს, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდნენ ცხვრებივით მიეყვანათ არჩევნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ანთაძეს რეპლიკით უპასუხა: ცხვრებივით მიყვანის ხანა დამთავრდა 2012 წლის შემდეგ.

საკრებულოს წევრმა ომარ მახარაძემ ლ. ანთაძეს ჰკითხა: გასაგებია, რომ რუსეთის სახით ძალიან დიდი მტერი ჰყავს, მაგრამ თქვენი პრეზიდენტობის კანდიდატის პიარმენეჯერები ვინ გყავთ?“ – რაზეც ლ. ანთაძემ უპასუხა, რომ „თქვენ (ანუ „ქართულ ოცნებას“) კოსაჩოვი (რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელი) გყავთ და რაზე ლაპარაკობთ“.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ მადლობა გადაუხადა ყველა ბათუმის ამომრჩეველს, ვინც მოქალაქეობრივი მოვალეობა მოიხადა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

## მ ო ს მ ი ნ ე ს :

### 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ომარ მახარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა მოხდეს ამ კუთხით საკრებულოს აპარატის ოპტიმიზაცია, კერძოდ ვინაიდან საკრებულოს აპარატის ფუნქცია იქნება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და არა უშუალოდ შესყიდვების, საფინანსო და საგადასახადო ოპერაციების განხორციელება. ამდენად გაუმართლებელი იქნება საკრებულოს აპარატში სტრუქტურული ერთეულის სტატუსით ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების არსებობა, რის გამოც უნდა მოხდეს ამ განყოფილების გაუქმება. (შესყიდვების მიმართულებით, როგორც ცნობილია საკრებულოს აპარატში რამდენიმე თვის წინ ჩატარებული რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა შესყიდვების განყოფილების, როგორც სტრუქტურული ერთეულის გაუქმება და ამ სფეროში საკრებულოს აპარატში დასაქმებულია ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

რაც შეეხება განყოფილებაში დასაქმებულთა სტატუსსა და რაოდენობას ამ მხრივ საჭიროა საკრებულოს აპარატში (განყოფილების გარეშე, უშუალოდ აპარატის დაქვემდებარებაში) არსებობდეს ერთი მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელსაც ფუნქციურად დაევალება საკრებულოს საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის პროექტის (ინფორმაციის) მომზადება და მერიაში მისი წარდგენის ორგანიზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ ფუნქციის შემსრულებელი ერთი შტატგარეშე მოსამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მიღება.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია სწორ ქმედებად, რადგან საკრებულო და მერია არსობრივად სხვადასხვა ორგანოებია და ამ ფუნქციის მერიაზე გადაცემით, საკრებულოს უფლებამოსილება კიდევ უფრო სუსტდება, ხოლო მერიის უფლებამოსილება იზრდება. ამავე დროს უმუშევართა სიას ემატება კიდევ თუნდაც ერთი ადამიანი. ცენტრალიზაციამ წინა წლებში ვერ გაამართლა და დაიშალა.

საკრებულოს წევრს მ. ქამადაძეს მიაჩნია წარმოდგენილ საკითხზე მხარდაჭერა არასწორად, რადგან ქ. ბათუმის მერიის და საკრებულოს ფუნქციები გამიჯნულია, საკრებულო არის მერიის მაკონტროლებელი ორგანო და ფუნქციურად, არსობრივად სხვადასხვა უწყე-

ბებია. გამომდინარე აქედან არ არის სწორი გადაწყვეტილება და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ მხარი არ დაუჭირონ წარმოდგენილ საკითხს.

საკრებულოს წევრი ზ. ნაკაიძე არ ეთანხმება იმას, რომ ამით საკრებულო შეზღუდვას მიიღებს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცვლილებების შემდეგ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დარეგისტრირდება როგორც ერთი საგადასახადო სუბიექტი, რომელსაც ექნება ერთიანი სახელმწიფო შესყიდვები, ერთიანი საფინანსო ანგარიშსწორება და საგადასახადო ანგარიშგება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (ლ. ანთაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე,  
რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ომარ მახარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის ხელახალი რეორგანიზაციის საჭიროება გამოწვეულია შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციით იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტი არის ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და იგი უნდა იყოს რეგისტრირებული ერთ საგადასახადო სუბიექტად, ხოლო იმისათვის რომ აღნიშნული

ცვლილებების განხორციელების დროს არ წარმოიშვას სხვადასხვა ტექნიკური, სამართლებრივი და საფინანსო პრობლემები საჭიროა დასახელებული ცვლილებების ამოქმედება მოხდეს ახალი საბიუჯეტო წლიდან (2019 წლის 1 იანვრიდან).

დღეის მდგომარეობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ორი დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტია, შესაბამისად საკრებულოს და მერიას აქვს განცალკევებული საფინანსო ანგარიშსწორება, საგადასახადო ანგარიშგება, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ.

ცვლილებების შემდეგ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დარეგისტრირდება როგორც ერთი საგადასახადო სუბიექტი, რომელსაც ექნება ერთი შესყიდვების გეგმა, ერთიანი სახელმწიფო შესყიდვები, ერთიანი საფინანსო ანგარიშსწორება და საგადასახადო ანგარიშგება. საკრებულოს აპარატში კვლავ უნდა არსებობდეს შესაბამისი საშტატო და შტატგარეშე სპეციალისტები, ვინც უზრუნველყოფს საკრებულოს ნაწილში საჭირო დოკუმენტაციის (ინფორმაციის) მომზადებას და საჭიროებისამებრ მერიისათვის მიწოდებას, ხოლო მერია უზრუნველყოფს ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მის რეალიზაციას (განხორციელებას).

შესაბამისად, რეორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა მოხდეს ამ კუთხით საკრებულოს აპარატის ოპტიმიზაცია, კერძოდ ვინაიდან საკრებულოს აპარატის ფუნქცია იქნება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და არა უშუალოდ შესყიდვების, საფინანსო და საგადასახადო ოპერაციების განხორციელება. ამდენად გაუმართლებელი იქნება საკრებულოს აპარატში სტრუქტურული ერთეულის სტატუსით ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების არსებობა, რის გამოც უნდა მოხდეს ამ განყოფილების გაუქმება. (შესყიდვების მიმართულებით, როგორც ცნობილია საკრებულოს აპარატში რამდენიმე თვის წინ ჩატარებული რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა შესყიდვების განყოფილების, როგორც სტრუქტურული ერთეულის გაუქმება და ამ სფეროში საკრებულოს აპარატში დასაქმებულია ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

რაც შეეხება განყოფილებაში დასაქმებულთა სტატუსსა და რაოდენობას ამ მხრივ საჭიროა საკრებულოს აპარატში (განყოფილების გარეშე, უშუალოდ აპარატის დაქვემდებარებაში) არსებობდეს ერთი მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელსაც ფუნქციურად დაევალება საკრებულოს საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის პროექტის (ინფორმაციის) მომზადება და მერიაში მისი წარდგენის ორგანიზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ ფუნქციის შემსრულებელი ერთი შტატგარეშე მოსამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მიღება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 2 (ლ. ანთაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე,

რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ს მ ი ნ ე ს :

**3. „ქალაქ ბათუმში, დ.თავდადებულის ქ.№7/რუსთაველის ქ.№17-ში მდებარე სახლზე ღვაწლმოსილი არქიტექტორის, ბოგდან კირაკოსიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბოგდან კირაკოსიანი დაიბადა 1912 წელს ქ. ბათუმში. დაამთავრა ინდუსტრიული ტექნიკუმი, არქიტექტურის სპეციალობით ბათუმსა და კიროვში.

1931 წლიდან იგი აქტიურად იყო ჩაბმული ქალაქისა და რესპუბლიკის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში;

1931-1949 წლებში მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში სხვადასხვა თანამდებობებზე დაწყებული პრაქტიკოს მშენებლიდან არქიტექტორ დამპროექტებლამდე, ბათუმის არქიტექტურული დაგეგმარების განყოფილების უფროსად, №5 სამშენებლო ტრესტის უფროსად. ასევე ხელმძღვანელობდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის შემოქმედებითი საპროექტო სახელოსნოს საპროექტო ბრიგადას.

კირაკოსიანის მრავალი აშენებული ობიექტიდან გამოირჩევა ბათუმის ბულვარის კოლონადები, როგორც სამუშაოთა მწარმოებელი. მისი მონაწილეობით კახა ჯავახიშვილთან ერთად დაპროექტებული ობიექტებიდან გამოირჩევა ბათუმის ბულვარის საზაფხულო თეატრი და რესტორანი მახინჯაური. მისივე ავტორობით შესრულებულია ბათუმის ბულვარის ხეივანის დაგეგმარებისა და ბათუმის ცირკის რეკონსტრუქციის პროექტები.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილ წინადადებას, რადგან მათი ღვაწლი საკმაოდ დიდია ბათუმის განვითარებაში. მოუწოდა კოლეგებს, საკრებულოს წევრებს, მერიას, რომ აქტიურად გამოიყენონ ამ ხალხის პოტენციური ბათუმის განვითარებისათვის.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ წინა მოწვევის საკრებულოში შემოტანილი იყო წარმოდგენილი საკითხი, მაგრამ კენჭისყრაზე მხარი არ დაეჭირა, რადგან შენობა მიეკუთვნებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოდან ნებართვა წარმოადგინა ინიციატორმა, რის საფუძველზეც მხარს დაუჭერთ წარმოდგენილ საკითხს.



სხდომის თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მემორიალური დაფის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ბოგდან კირაკოსიანის ოჯახი.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ წამოაყენა წინადადება განკარგულების პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე: კერძოდ, ბოგდან კირაკოსიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად განთავსდეს მემორიალური დაფა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხედვით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილებების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი